ხუთ მარცვლამდე დაყვანილი ეს ტაეპი ლექსის პროსოდიულ წყობას მთლიანად წყვეტს და თავისი სიმოკლით მის პათეტიკურ სიძლიერეს უწყობს ხელს:

«Demain Cyprien et Henri

Marie Ursule et Catherine

La boulangère et son mari

Et puis Gertrude ma cousine

Souriront quand je passerai

Je ne saurai plus où me mettre

Tu seras loin Je pleurerai

J' en mourrai peut-être»

(აპოლინერი 1981: 98)

„ვანდემიერში“ «Ô Rome»-ს, რომელიც ოთხმოცდამეთხუთმეტე ტაეპში წყვეტს აღექსანდრიული ლექსით დაწერილ სტრიქონთა რიტმს (აპოლინერი 1981: 139), პირველ ანაბეჭდებამდე ასეთი სახე ჰქონდა:

«Moi qui t' adore ô Rome ô Rome où je suis né»

(დეკოდენი 1997: 51)

ისევე როგორც სხვა ლექსებში, აპოლინერი აქაც წაშლის საკუთარი იდუმალებით მოცული წარმოშობის კვალს.

ლექსში „სასტუმროები“ ადგილი აქვს სტრიქონთა გადაწყობა-გადალაგებას. ხელნაწერის ვერსია, რომელიც ასე იკითხება:

«Table de nuit  
 Ô La Vallière,  
 Qui boite et rit  
 De mes prières»  
 (დეკოდენი 1997: 51)

„აღკოპოლებში“ ამგვარ სახეს მიიღებს:

«Ô La Vallière  
 Qui boite et rit  
 De mes prières  
 Table de nuit»  
 (აპოლინერი 1981: 133)

მოვიყვანო კიდევ ერთ მაგალითს.

„სუარე დე პარის“ 1912 წლის თებერვლის ნომერში დაბეჭდილი „მირაბოს ხიდის“ შემდეგი სტროფი სამი ათმარცვლიანი ტაეპისგან შედგება და ასე იკითხება:

«Sous le Pont Mirabeau coule la Seine  
 Et nos amours, faut-il qu' il m' en souviennne?  
 La joie venait toujours après la peine»  
 (დეკოდენი 1997: 52)

„აღკოპოლებში“ ამავე სტროფის მეორე სტრიქონის ორად – ოთხმარცვლიან და ექვსმარცვლიან ნაწილებად («Et nos amours / Faut-il qu' il m' en souviennne») (აპოლინერი 1981: 15) – გაყოფა იწვევს რიტმისა და რითმათა თამაშის გაწყვეტას (ლექსის საბოლოო ვარიანტში მეორე ტაეპი არაფერს ერითმება), რასაც ემატება პუნქტუაციის არარსებობა. ეს ყველაფერი ქმნის გაურკვევლობის, ეჭვისა და ცვალებადობის განცდით (რაზეც მიუთითებს «Et nos amours») დატვირთულ ვერბალურ ნაკადს. დასასრულ, სტროფებში მეორე და მესამე სტრიქონების არათანაბარი გაწყვეტა და ფურცლის თეთრ სივრცეზე ტაეპების ზიგზაგისებური განლაგება თითქოს გრაფიკულად იმეორებს წყლისა და დროის ნაკადის დინებას. ამ შთაბეჭდილებას ვიზუალურად კიდევ უფრო აძლიერებს სტროფების მკრთალი მოხაზულობა (იხ. დანართი № 10). ამგვარმა შესწორებებმა შვა ლექსის სრულიად ახალი სტრუქტურა – „ფორმა-გრძნობა“. თუმცა ეს ჯერ კიდევ არაა საკუთრივ კალიგრამა.

აპოლინერის პოეტიკა მაკრატილისა და წებოს პოეტიკაა: ეს ნიშნავს ლექსების დანაწევრებას, დაშლას და შემდეგ კვლავ შეერთებას, აწყობას, ანუ ლექსის „ფაბრიკაციას“. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თავად სიტყვა „ფაბრიკაციას“ სამგვარი მნიშვნელობა აქვს: 1. რაიმე ნაკეთობის ფაბრიკული წესით დამზადება; 2. საერთოდ, რისამე დამზადება და 3. (გადატანითი მნიშვნელობით) რაიმე ნაყალბევის შეთხზვა (ჭაბაშვილი 1984: 514). ამ ფაქტორზე ყურადღებას ვამახვილებთ იმის გამო, რომ „ალკოპოლების“ გამოცემის შემდეგ კრიტიკოსთა ერთი ნაწილი სწორედ ამგვარ „ფაბრიკაციაზე“ აღაპარაკდა (დეტალურად ამაზე ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი).

როგორც არ უნდა იყოს, ამგვარია აპოლინერის მაგიური მეთოდი, რომელიც მას საშუალებას აძლევს პოეზიაში გადმოიტანოს იმ დროის ფერწერული (ამ შემთხვევაში კუბისტური) ძიებები. „ალკოპოლებში“ ავტორის სიმულტანური ექსპერიმენტები ხორცს იხამს და ამის მაგალითებს წარმოადგენს „ლექსი წაკითხული ანდრე სალმონის ქორწილში“, „ზონა“ თუ „კორტეჟი“, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

ასეთია პოეტის წარმოსახვის დინამიკა, რომელიც მათგანიზებულ ფუნქციას ასრულებს და რომელსაც, როგორც ეს შესანიშნავად აჩვენა მკვლევარმა ჟან ბიურგოსმა (დეკოდენი 1997: 53-54) (ჩვენ ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი), მოდერნისტული სტილისა და ლექსში შეტანილი შესწორებების მსგავსად, ხშირად მოულოდნელი, გასაოცარი შედეგი ახლავს.

ამის შემდეგ გვიჩნდება კითხვა: როგორ ეპყრობოდა აპოლინერი სიტყვას? როგორი დამოკიდებულება ჰქონდა სიტყვასთან?

## 2. სიტყვათა პოეზია

სიტყვები აპოლინერზე დაუძლეველ ჰიპნოზს ახდენს, ერთგვარად აჯადოებს მას. ყმაწვილობიდანვე ადგენდა იშვიათი სიტყვების სიებს, ლექსიკონებიდან იწერდა, თუმცა ხშირად მათი მნიშვნელობის ჩანიშვნის მოთხოვნილება არ აწუხებდა. აპოლინერის დღიურები და სამუშაო ჩანაწერები ასევე შეიცავს სხვადასხვა განსაზღვრებას, ამონაწერებს ლექსიკონებიდან, რომელსაც ზოგჯერ ასეთი შენიშვნა ახლავს: „არ უნდა დამავიწყდეს ამ სიტყვის ლექსში გამოყენება“ (დეკოდენი 1997: 54). ღამაზი ხმოვანების ან უცნაური სიტყვის აღმოჩენა აპოლინერისთვის სიმთვრალის ტოლფასია. ანდრე ბიისგან ვიცით, რომ

პოეტი უდიდეს აღტაცებას გრძნობდა, როცა ხმამაღლა გაჰყვიროდა სიტყვა „გუსენვილს“ (დეკოდენი 1997: 54).

აპოლინერის სიტყვებისადმი ამგვარი მიდრეკილება არანაირ საზღვარს არ ცნობს. მას მიაჩნია, რომ სალაპარაკო ენა სალიტერატუროზე წინ უნდა დავაყენოთ (დეკოდენი 1997: 54). აპოლინერის ლექსიკონში ყველანაირი რეგისტრის სიტყვას შევხვდებით, იქნება ეს ტრივიალური, დახვეწილი, ბანალური, იშვიათი, ადვილად გასაგები თუ ძნელსაცნაური სიტყვა. ამ ლექსიკით აპოლინერი მოულოდნელ, გასაოცარ ამაღლებებს ქმნის. „უიღბლო შეყვარებულის სიმღერის“ ცენტრალურ ნაწილში – იქ, სადაც ერთმანეთს აწყდება ტკივილისა და მწუხარების სურათ-ხატები და უნდა გამოჩნდეს შვიდი ხმალი, რომელიც პოეტის გულს განგმირვას უქადის – უიღბლო შეყვარებულის დარდი გამოხატულია ხუმრობით: აპოლინერი მიმართავს ჩვეულებრივ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას «avoir le cœur gros» („გულდარდიანად ყოფნა“), თუმცა იქვე იყენებს ვულგარულ სიტყვას «le cul» („საჯდომი“), ქმნის ალიტერაციით გაჯერებულ სინტაგმას «un cul de dame damascène» („დამასკოელი ქალის საჯდომი“) და თავად ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაზე თამაშობს:

«Et moi j' ai le cœur aussi gros  
Qu' un cul de dame damascène»  
(აპოლინერი 1981: 26)

პოეტის ლექსიკონში მუდამ ვხვდებით ყველაზე განსხვავებულ, ურთიერთსაპირისპირო რეგისტრებს.

ზოგჯერ პოეტი მკითხველისგან თანამონაწილეობას ითხოვს. ამ დროს მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ლექსში „მერლინი და დედაბერი“ მთვარე „მხიარულია“ («hilare») იმიტომ, რომ ლიონელ ფოლეს შენიშვნის თანახმად (დეკოდენი 1997: 55), ძველი ბერძენი ფილოსოფოსი ემპედოკლე (დაახლ. 490-430 ძვ. წ.), რომელიც რ. როლანისთვის (სემუშკინი 1985: 24) „უნივერსალური ადამიანის იდეალია“, მთვარეს «hilaeira»-ს ანუ „თბილს“ უწოდებს მისი სინათლისა და, იმავე დროს, კეთილგანწყობის გამო. მაგრამ აპოლინერის ფორმულა («le rire de la lune hilare») (აპოლინერი 1981: 66) პირველი წაკითხვისთანავე უჩვეულო სურათ-ხატის დანახვის შესაძლებლობასაც გვაძლევს. ზოგჯერ, როგორც ესაა, მაგალითად, „ზონასა“ («les directeurs les ouvriers et les belles sténodactylographes») (აპოლინერი 1981: 8) ან „უიღბლო



შეყვარებულის სიმღერაში“ («les tramways») (აპოლინერი 1981: 31), პოეტური ხატი სწორედ ბანალური ლექსიკიდან იბადება.

**სემანტიკურ ორაზროვნებას** – ისეთს, როგორც გვაქვს «la lune hilare»-ში – აპოლინერი ხშირად მიმართავს. ზოგჯერ მას განვითარება-განვრცობა, ახსნა-განმარტება ახლავს (მაგ.: «s’ il sait voler qu’ on l’ appelle voleur» ლექსში „ზონა“ (აპოლინერი 1981: 9); / «Ses rosiers et ses vêtements n’ ont pas de boutons» ლექსში „ანი“ (აპოლინერი 1981: 38); / «Chaque rayon de lune est un rayon de miel» ლექსში „მთვარის ნათელი“ (აპოლინერი 1981: 123)), თუმცა შესაძლოა თავისი უცნაურობით მკითხველის დაბნევის მიზეზიც გახდეს. მაგალითად, თუკი ლექსში „როზმონდი“ («Rosemonde») «Rosemonde» და «Rose du Monde» აშკარად ეხმიანება ერთმანეთს შემდეგ სტროფში:

«Je la surnomma Rosemonde  
 Voulant pouvoir me rappeler  
 Sa bouche fleurie en Hollande  
 Puis lentement je m’ en allai  
 Pour quêter la Rose du Monde»  
 (აპოლინერი 1981: 88),

იმისათვის, რათა გავიგოთ ქარაგმა «Sa bouche fleurie en Hollande», უნდა ვიცოდეთ, რომ „პირი“ პოლანდიურად არის «mond».

ლექსში „კარი“ («La Porte») ნახსენები «Ange<sup>s</sup>\* frais débarqués à Marseille hier matin» – ზვიგენებია, რომლებიც სივრცეში ორ მეტრს აღწევენ, მაგრამ ეს ტაეპი, თავის ერთიანობაში მომდევნო სტრიქონთან, იმავდროულად ზეციურ არსებებსაც გვახსენებს:

«Ange<sup>s</sup> frais débarqués à Marseille hier matin  
 J’ entends mourir et remourir un chant lointain»  
 (აპოლინერი 1981: 64)

სიტყვის მეტაფორული შესაძლებლობანი, რომელზეც აპოლინერი თამაშობს, ართქმული პოეტური კონოტაციების წყაროა. უკიდურეს შემთხვევაში, სიტყვა სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელია არა ორაზროვნების მეთოდური ძიების გამო, არამედ უუქსტაპოზიციითა და დამატებითობით. მაგალითად, „ლენდორ როუდელი ემიგრანტის“ პერსონაჟი

\* ზვიგენის ერთგვარი სახეობა, რომელიც ხმელთაშუა ზღვაში ბინადრობს.

«[...] se maria comme un doge

Aux cris d' une sirène moderne sans époux»

(აპოლინერი 1981: 87)

და უკვე ნათელია, რომ ეს სირენა – «sirène moderne» – ჩვენი დღევანდელი გემის სირენაა, ხოლო «sirène sans époux» მითოლოგიური არსებაა, რომლის სიმღერაც მეზღვაურებს აჯადოებდა. ჩვენ ამას სიტყვის შესაძლო მნიშვნელობათა შერწყმით ვიგებთ. აუცილებელი არაა ლექსში რამდენიმე მნიშვნელობას ვეძებოთ, უბრალოდ უნდა მივიღოთ ლექსის ენის პოლისემიური სიმულტანურობა.

იქნებ უფრო შორს უნდა წავიდეთ იმის ძიებაში, რასაც მარი-ჟან დიურიმ აპოლინერის „შემოქმედებითი კალამბური“ («calembour créateur») უწოდა (დეკოდენი 1997: 59)? შესაძლოა, ეიფელის კოშკი „ზონაში“ მწყემსი ქალია («bergère») (აპოლინერი 1981: 7) არა მხოლოდ იმიტომ, რომ მის ფერხით „ხიდების ფარაა“ (აპოლინერი 1981: 7), არამედ იმიტომაც, რომ იგი სენის ნაპირზე დგას (la berge ხომ ფრანგულად მდინარის ნაპირს ნიშნავს). ამასვე ადასტურებს სურათ-ხატების მჭიდრო, გადაბმული ქსელი. როგორც ჟან-კლოდ შვეალიე შენიშნავს, „კალამბური მხოლოდ ხაზგასმული კონტექსტებით ცოცხლობს“ (დეკოდენი 1997: 59). „აღკოჭოლების“ პოეზია არაა წინასწარგამიზნულად კოდირებული ტექსტი. ის, რაც ჩვენ კალამბურად წარმოვიგვიგება და ასეთადაც ვკითხულობთ, სხვა არაფერია, თუ არა პოეტური სიტყვის ერთ-ერთი დინამიკური მოდალობა.

აპოლინერთან ასევე ხშირად გვხვდება **ექოლალია** (ბგერის, ბგერათა ჯგუფის, სიტყვის ან უღერადობის გამეორება). „ზონაში“ ემიგრანტებზე წერია:

«Ils espèrent gagner de l' argent dans l' Argentine»

(აპოლინერი 1981: 12)

„მირაბოს ხიდში“ «la vie est lente» ერთიმემა «violente»-ს:

«Comme la vie est lente

Et comme l' Espérance est violente»

(აპოლინერი 1981: 15)

ლექსში „თეთრი თოვლი“ გვაქვს:

«Ah! tombe neige

Tombe et que n' ai-je»

(აპოლინერი 1981: 57)

ლექსში „განდევილი“ ვკითხულობთ:

«les humains savent tant de jeux l' amour la mourre»

(აპოლინერი 1981: 79)

სოლო შემდგომ ორ ტაეპში ომოფონია ქიაზმაში გადადის:

«L' amour jeu des nombrils ou jeu de la grande oie

La mourre jeu du nombre illusoire des doigts»

(აპოლინერი 1981: 79)

ლექსში „მაისი“ მესამე ტაეპი – «Vous êtes si jolies mais la barque s' éloigne» – ეხმიანება «le joli mai en barque»-ს, რომელიც პირველ სტრიქონში გვაქვს:

«Le mai le joli mai en barque sur le Rhin

Des dames regardaient du haut de la montagne

Vous êtes si jolies mais la barque s' éloigne

Qui donc a fait pleurer les saules riverains»

(აპოლინერი 1981: 95)

ლექსში „ბოზა ქალი“ («La tzigane») ვკითხულობთ:

«Nous lui dîmes adieu et puis

De ce puits sortit l' Espérance»

(აპოლინერი 1981: 78)

ალიტერაციები და ჟღერადობათა განმეორებანი ამავე პოეტური ოპერაციის შედეგია. მართალია, აპოლინერი მათ სისტემატურად არ მიმართავს, მაგრამ ლექსში ხანდახან ერთადაა თავმოყრილი, როგორც ეს გვაქვს „უიღბლო შეყვარებულის სიმღერაში“:

«Les satyres et les pyraustes

les égyptans et les feux follets

Et les destins damnés ou faustes

[...]

Douleur qui doubles les destins

La licorne et le capricorne

[...]

(აპოლინერი 1981: 25)

ანდა „ზონაში“:

«C' est Ferdine la fausse ou Léa l' attentive»

(აპოლინერი 1981: 14)

ამ ტაქსს წინ უსწრებს სტრიქონი:

«La nuit s' éloigne ainsi qu' une belle Métive»

(აპოლინერი 1981: 14),

სადაც «attentive» ერიოთება «Métive»-ს. ამგვარი სონორული გამეორებანი გვაძლევს იგივე «cou coupé»-ს, „ზონის“ კლაუზულას, ძალაუნებურად რომ გვაოცებს. მსგავსი სონორული გამეორებები სხვა ლექსებში იშვიათია ან სრულებით არაა.

მაღარმესა ან ვალერის საპირისპიროდ, გიომ აპოლინერს არ გააჩნია ენის თეორია. მისთვის ენა ამოუწურავი რეზერვუარია, რომელიც ურიცხვ აღმოჩენას მაღავს. აპოლინერისეული ვერბალური ალქიმიის საიდუმლო სწორედ საჭირო სიტყვის მიგნების უნარსა და ლექსიკის სონორულ თვისებებში მდგომარეობს. ამ მხრივ, ფრანგული ენა პოეტს ექსპრესიულ საშუალებათა გამორჩეულად მდიდარ „თამაშს“ სთავაზობს.

ვერბალური ალქიმიის საიდუმლოს გარდა, აქ **ბუნდოვანების** საიდუმლოც იმალება. ეს ბუნდოვანება არ უკავშირდება იმ ენის მეთოდურ ძიება-შექმნას, რომელიც პოეზიისთვისაა სპეციფიკური (როგორც ეს სტეფან მაღარმესა და პოლ ვალერისთანაა). იგი მხოლოდ სიტყვების, მათი მნიშვნელობისა და უღერადობის დაუსრულებელი შერევიდან იბადება. „განდეგილის“ ბოლოს, ნაყოფის წითელი ფერი მიგვანიშნებს იმაზე, რომ მოცხარის ბუჩქი „სისხლიანია“ («sanglant»), მაგრამ როცა ნახსენებია «la sainte cruauté des passiflores», ეს ფრაზა გაუგებარი იქნება იმ მკითხველისთვის, რომელიც «passiflores»-ში «les fleurs de la Passion»-ს, „ვნების ყვავილებს“ ვერ ამოიცნობს:

«Car je ne veux plus rien sinon laisser se clore

Mes yeux couple lassé au verger pantelant

Plein du râle pompeux des groseillers sanglants

Et de la sainte cruauté des passiflores»

(აპოლინერი 1981: 83)

ასევე გაუგებარი იქნება „მგზავრის“ შემდეგი სტრიქონი იმათთვის, ვინც არ იცის, რომ ლექსში ნახსენები ვერიპოსის სრუტე\* დინებას იცვლის:

«La vie est variable aussi bien que l' Euripe»

(აპოლინერი 1981: 52)

სამაგიეროდ, თუკი „ზონაში“ ნახსენები პიები («les pihis») (აპოლინერი 1981: 9), რომელთაც „მხოლოდ ცალი ფრთა აქვთ და წყვილ-წყვილად დაფრინავენ“ («Qui n' ont qu' une seule aile et qui volent par couples») (აპოლინერი 1981: 9), და ლექსში „კარი“ («La porte») ნახსენები თევზები – პი-მუები («couples allant dans la profonde eau triste») (აპოლინერი 1981: 64) აოცებს იმ მკითხველს, რომელმაც არ იცის, რომ ლაპარაკია ჩინური მითოლოგიის ფრინველებსა და თევზებზე, ის კონტექსტით მაინც შეძლებს იმის წარმოდგენას, თუ როგორ სულიერ არსებებზეა აქ ლაპარაკი. აპოლინერს უფრო მეტად სიტყვის უცნაურობა და უჩვეულობა იზიდავს, ვიდრე ბუნდოვანება. მას ის პოეტური მუხტიც ხიბლავს, რომელსაც ესა თუ ის სიტყვა ატარებს. „კალიგრამების“ ერთ-ერთ ლექსში „გამარჯვება“ («La Victoire») აპოლინერი იტყვის:

«La parole est soudaine et c' est un Dieu qui tremble»

(აპოლინერი 2001: 182).

### 3. შედარება, მეტაფორა, პოეტური სურათ-ხატი

აპოლინერს არ გააჩნია თეორია პოეტური სურათ-ხატის შესახებ. იგი ყველა რეგისტრით თამაშობს: იყენებს ყველაზე ელემენტარულ შედარებასაც, რომელიც კავშირ «comme»-ით ან ერთ-ერთი მისი შემცვლელითაა შემოყვანილი და რომელიც ერთ სიტყვას მეორესთან აიგივებს, და ყველაზე დახვეწილ სურათ-ხატსაც.

ლექსის „უცუნები“ თხუთმეტ ტაეპში «comme» ხუთჯერ გვხვდება (აპოლინერი 1981: 33).

„უიღბლო შეყვარებულის სიმღერაში“ გვაქვს:

«fidèle comme un dogue / Au maître»;

«belle comme une panthère»;

---

\* კონტინენტურ საბერძნეთსა და ნეგრეპონტის კუნძულს შორის მდებარე სრუტე. დინება აქ დღემდე ოთხჯერ იცვლის მიმართულებას, ზღვის მოქცევათა მიხედვით. სრუტის სახელიც აქედან წარმოდგა: «Euripos», რაც „ცვლადს“, „მერყევს“ ნიშნავს.

«heureux / Comme un petit enfant candide»

(აპოლინერი 1981: 21, 24 და 25)

ლექსში „მარი“:

«tes cheveux / Crépus comme mer qui mouline»

(აპოლინერი 1981: 55)

ლექსში „მერლინი და დედაბერი“ ვკითხულობთ:

«Le soleil ce jour-là s' étalait comme un ventre

Maternel [...]

Les nuages coulaient comme un flux menstruel»

[...]

«Et leurs mains s' élevaient comme un vol de colombes»

(აპოლინერი 1981: 65 და 67)

ლექსში „სანადირო ბუკები“ ვკითხულობთ:

«Notre histoire est noble et tragique

Comme le masque d' un tyran»

(აპოლინერი 1981: 135)

ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ შეიძლება მოიცვას ამგვარი მეთოდის უბრალოებამ მრავალი სხვადასხვა შინაარსი, შტამპიდან (როგორიცაა, მაგალითად, «belle comme une panthère», «heureux comme un petit enfant candide») ყველაზე დახვეწილ თუ მოულოდნელ ფორმებამდე.

ზოგჯერ შეიძლება შეგვხვდეს უჩვეულო, უფრო მეტიც, გამომწვევი შედარება, როგორც ესაა „უიღბლო შეყვარებულის სიმღერაში“:

«Et moi j' ai le cœur aussi gros

Qu' un cul de dame damascène»

(აპოლინერი 1981: 26),

სადაც სევდა-კაემანი განეიტრალებულია შედარების ვულგარული, სასაცილო ხასიათითა და ალიტერაციით.

„ზონაში“ გვხვდება შედარება, რომელიც ძალაუნებურად გვაოცებს თავისი უბრალოებითა და სიზუსტით:

«Et tu bois cet alcool brûlant comme ta vie

Ta vie que tu bois comme une eau-de-vie»

(აპოლინერი 1981: 14)

ეს შედარებები და მათი ეკვივალენტები («Nous semblions entre les maisons / Onde ouverte de la mer Rouge / Lui les Hébreux moi Pharaon» „უიღბლო შეყვარებულის სიმღერის“ დასაწყისში) (აპოლინერი 1981: 17) ადგილს უთმობს გაიგივებას, როგორც ეს ბოდლერისეულ შესაბამისობათა შემთხვევაშია. მაგალითად, «les souvenirs sont cors de chasse» ლექსში „სანადირო ბუკები“ (აპოლინერი 1981: 135); «tes mains feuilles de l'automne» ლექსში „მარი“ (აპოლინერი 1981: 55); ხოლო „რაინულ შემოდგომაში“ გვაქვს:

«L'automne est plein de mains coupées

Non non ce sont des feuilles mortes»

(აპოლინერი 1981: 105)

შედარება და გაიგივება ზოგჯერ ერთად გვხვდება ერთსა და იმავე ნაწყვეტში, რაც კარგად გვიჩვენებს, რომ ორივე მათგანი ერთი აფექტიდან წარმოდგება. „მარიზიბილის“ ბოლოში ვკითხულობთ:

«Indécis comme feuilles mortes

Leurs yeux sont des feux mal éteints

Leurs cœurs bougent comme des portes»

(აპოლინერი 1981: 51)

ლექსში „მაისი“ გვაქვს:

«Les pétales tombés des cerisiers de mai

Sont les ongles de celle que j' ai tant aimée

Les pétales flétris sont comme ses paupières»

(აპოლინერი 1981: 95)

„უიღბლო შეყვარებულის სიმღერაში“ ვკითხულობთ:

«Nous semblions entre les maisons

Onde ouverte de la mer Rouge

Lui les Hébreux moi Pharaon»

(აპოლინერი 1981: 17)

აქ იმის დადგენაც შეიძლება, რომ გაიგივებანი უფრო ხშირია, ვიდრე შედარებები. მათი ფორმულირება აპოლინერთან სულ უფრო და უფრო ლაკონური ხდება, სანამ არ გახდება «Bergère ô tour Eiffel», «Pupille Christ de l'œil» (სადაც გვაქვს თამაში: pupille-cristallin-Christ de l'œil) ან «Soleil cou coupé» ლექსში „ზონა“ (აპოლინერი 1981: 7, 9 და 14).

ჩვენ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ აპოლინერის «Soleil cou coupé»-ს შექმნის პროცესს. ამგვარმა უჩვეულო ბოლო ტაეპმა თავგზა აუბნია ლექსის პირველ მკითხველებს და არაერთი კრიტიკოსი დააინტრიგა (დეკოდენი 1997: 67). ზემოთ ნახსენები პროცესისთვის თვალის გადევნება შეუქს ჰფენს აპოლინერის წერიტი მუშაობის სტილს. ლექსში „დუხოხორები“ («Les Doukhobors»), რომელიც აპოლინერმა თვრამეტი წლის ასაკში დაწერა, ვკითხულობთ:

«Le soleil qui radiait  
Dut paraître à leurs yeux extasiés,  
[...]  
Le cou tranché d' une tête immense, intelligente,  
Dont le bourreau n' osait montrer  
La face et les yeux larges pétrifiés,  
À la foule ivre,  
Et quel sang, et quel sang, t' éclabousse, ô monde,  
Sous ce cou tranché!»

(აპოლინერი 2005: 135-136)

„ზონის“ შავი ვარიანტი რაღაც ელემენტებს შეიცავს ზემოთ მოყვანილი სტრიქონებიდან:

«Le soleil est là c' est un cou tranché  
Comme l' auront peut-être un jour quelques-uns  
des pauvres que j' ai rencontrés

Le soleil me fait peur, il répand son sang sur Paris»

(დეკოდენი 1997: 68)

„სუარე დე პარიში“ უკვე იმ თამამ, მოულოდნელ ფორმულირებას აღმოვაჩინებთ, რომელიც შემდეგ სახეშეცვლილი წარმოდგება „ზონის“ ფინალში:

«Soleil levant cou tranché»

(დეკოდენი 1997: 68)

დასასრულ, ფორმულირება მეტ ექსპრესიულობას შეიძენს ერთი მხრივ ზედსართავ «levant»-ის ამოგდებით, რომელიც განმარტებას წარმოადგენდა (ვინაიდან «Soleil levant» ჰგავს «cou coupé»-ს), მეორე მხრივ კი «tranché»-ს «coupé»-თი შეცვლით, რის შემდეგაც ტაეპი ისე იკითხება, თითქოს ნაჯახის ორმაგი დარტყმა გვესმოდეს: «Soleil cou coupé».



არაერთხელ გამოთქმულა მოსაზრება, რომ ამგვარი რაკურსები აპოლინერს 1912 წელს მარინეტის მანიფესტში\* გამოთქმულმა მითითებებმა და მოწოდებებმა უკარნახა (დეკოდენი 1997: 68). მაგრამ აპოლინერს ჯერ კიდევ „სიმღერაში“ აქვს გამოყენებული ტაეპი:

«gin / Flambant de l' électricité»,

ხოლო ლექსებში „ლულ დე ფალტენენი“ და „მგზავრი“ აქვს ტაეპები:

«leurs yeux étoiles bestiales»,

«Vagues poissons arqués fleurs surmarines»

(აპოლინერი 1981: 31, 77 და 52)

მართლაც, ამგვარი მიმართულება აპოლინერის შემოქმედებაში ბუნებრივად აგრძელებს კანონიკურ, ე. წ. ჰომეროსულ შედარებას, ისევე როგორც საკუთრივ ამ მიმართულებას აქვს თავისი გაგრძელება წმინდა სურათ-ხატში, შედარებისა ან გაიგივების საყრდენი წერტილის გარეშე. ასეა ლექსის „ნაკვერჩხალი“ მეორე სტროფში:

«Le galop soudain des étoiles

N' étant que ce qui deviendra

Se mêle au hennissement mâle

Des centaures dans leurs haras

Et des grand' plaintes végétales»

(აპოლინერი 1981: 89),

ანდა მონოსტიქის „მაგალობელი“ ერთადერთ ტაეპში, რომელსაც ეს პროცესი დასასრულამდე მიჰყავს. აღნიშნული ლექსი მიშელ დეკოდენს აპოლინერისეული სურათ-ხატის ჭეშმარიტ ნიმუშად მიაჩნია (დეკოდენი 1997: 69):

«Et l' unique cordeau des trompettes marines»

(აპოლინერი 1981: 36)

#### ა) კალამბური და კალიგრამა

არაერთხელ გაუსვამთ ხაზი იმ „ვერბალური გაუმადრობისთვის“, რომელიც ახალგაზრდა აპოლინერს ახასიათებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა სტავლოში ეცნობა და ითავისებს ბელგიური არდენების ფრანგულს. ამასთან დაკავშირებით

---

\* იგულისხმება მარინეტის „ფუტურისტული ლიტერატურის ტექნიკური მანიფესტი“, რომელიც 1912 წელს გამოქვეყნდა.

მიშელ ბიუტორი შენიშნავს: „[...] იგი ისმენს ამ სხვანაირ ფრანგულს, [...] ითავისებს ყველა ვალონურ სიტყვას, [...] უცქერს ამ ახალ პეიზაჟს, [...] იწერს ყველაფერს, რასაც კი გაიგონებს სასტუმროებსა თუ ფუნდუკებში, ცდილობს შეისისხლხორცოს ეს სხვანაირი – ჩრდილოური აქცენტი, რათა გააწონასწოროს სამხრეთული აქცენტი და უკეთ დაეუფლოს ცენტრის – პარიზულ აქცენტს“ (ბიუტორი 2006: 936). თავისი ალიტერაციებით, ონომატოპეებით, კალამბურებით, არქაიზმებითა და პარონომაზიებით, აპოლინერი მხიარულ, მოხეიძე, დინამიკურ და ზოგჯერ იდუმალ ენას ქმნის. მ. ბიუტორი მართებულად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ აპოლინერს „მძაფრად ჰქონდა გაცნობიერებული ენის *ფიზიკური* სინამდვილე; [...] მას ჰქონდა საუცხოო უნარი არ დაევიწყა, რომ სიტყვები უპირველეს ყოვლისა გვესმის და მათ ვხედავთ“ (ბიუტორი 2006: 937).

იყო თუ არა აპოლინერი პოლიგლოტი, როგორც ამტკიცებენ ხოლმე? დანიელ ოსტერს (ოსტერი 2001: 41) მიაჩნია, რომ არ იყო, მაგრამ აპოლინერმა საკმაოდ კარგად იცოდა იტალიური და ასევე გერმანულიც; წინააღმდეგ შემთხვევაში, 1901 წელს რაინის მხარეში მასწავლებლად ვერ წავიდოდა. მიშელ დეკოდენმა ხაზი გაუსვა აპოლინერის მუდმივ ინტერესს ენებისა და მათი ცხოვრებისადმი (ოსტერი 2001: 42); მან სტატიებიც კი დაწერა გერმანული და ლათინური ენების და თვით ესპერანტოს შესახებ. ცნობილია, რომ მისი პირველი დღიურები შეიცავს უცხო სიტყვების მთელ სიებს და რომ მან უამრავი სიტყვა ისესხა XII და XIII საუკუნეების ენიდან. აპოლინერი უჩვეულო სიხარულს განიცდიდა, როცა ეცნობოდა და ითავისებდა არტილერისტთა სპეციფიკურ ენას, რაც კარგად ჩანს მის „კალიგრამებსა“ და წერილებში (აპოლინერი 2001; აპოლინერი 2006).

აპოლინერისთვის **კალამბური** მთელი ცხოვრება სიტყვებთან კავშირის ძირითადი საშუალება იყო. ჟან-კლოდ შევალიეს თქმით, „კალამბური თამაშობს იმ სხვადასხვა მნიშვნელობაზე, რომელსაც იღებს ორი ომოფონური სეგმენტი, როდესაც იცვლება კონტექსტი“ (ოსტერი 2001: 42). კალამბურის გამოყენება ნიშნავს ვერბალურ საშუალებათა მინიმალური რაოდენობით მაქსიმალური ეფექტის მიღწევას, სიტყვის მნიშვნელობისა და უღერადობის მაქსიმალურ გამოვლენა-გამოყენებას:

*l' amour / la mourre; puits / puis; un cul de dame damascène; ancre / encre; Lou / loup*  
(აპოლინერი 1981: 79, 78, 26; აპოლინერი 2001: 134, 79).

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ამ კალამბურს მარი-ჟან დიურიმ „შემოქმედებითი კალამბური“ უწოდა (დეკოდენი 1997: 59), რომელიც თავისი თვისებებით, ესთეტიკითა და ეფექტით შეიძლება შევადაროთ კოლაჟს, კუბისტურ მხატვრობას ან მარსელ დიუმანის „რედი-მეიდებს“; მაგრამ ეს კალამბური პირველ რიგში ალბათ იმ დროის გამოცხადებაა, როდესაც სიტყვებით თამაში მთელი მეცნიერება და ხელოვნება გახლდათ. ეს იყო უპირველესი საშუალება სიტყვის მნიშვნელობის გამოყოფა-ხაზგასმისა (ოსტერი 2001: 42).

კალამბურს, რომელიც თავისი ბუნებით მეტაფიზიკური და იმავდროულად მატერიალისტურია, სიტყვა გადაჰყავს თავად ამ სიტყვის ერთგვარ მიღმა მხარეში და ამით გრაფიკულ-ვერბალური მიკროკოსმოგონიას ქმნის.

რაც შეეხება კალიგრამას, ესაა კალამბური თვალისთვის. როგორც კ. დებონი აღნიშნავს, კალიგრამა (იგივე „ლექსი-ნახატი“) „მკითხველს მაყურებლად აქცევს“ (დებონი 2004: 13). აპოლინერის ჰალსტუხი-კალიგრამა (აპოლინერი 2001: 53) ნიშნავს, რომ ჰალსტუხი-საგანი არის ასევე ჰალსტუხი-სიტყვაც. კალამბური და კალიგრამა ორი ურთიერთსაპირისპირო პროცესია: სიტყვიდან მიკროსამყაროს გამოყოფა (კალამბური) და ამ სამყაროს სიტყვაშივე ჩაბრუნება (კალიგრამა).

უფრო მეტიც, კალამბური და კალიგრამა წარმოადგენს კუბისტების, აპოლინერისა და ფუტურისტებისთვის ასერივ ძვირფასი სიმულტანურობის საუკეთესო მხარეს. სიტყვის პოლისემიაზე თამაში – უკვე აღმნიშვნელშივე სიმულტანურობის შემოტანაა. ეს უკანასკნელი ყველაზე ხშირად მიიღწევა მასზე (აღმნიშვნელზე) სხვა სიტყვების დამატებით (მაგალითად, მარინეტის სტილში: «Midi 3/4 flûtes glapissement embrasement toumbtoub alarme» და ა. შ.) ანდა იმგვარი კომპოზიციების მეშვეობით, რომელსაც მასიურად იყენებდნენ სიურრეალისტები (მაგალითად, «explosante-fixe») (ოსტერი 2001: 44). 1913 წლიდან ფუტურისტული ჟურნალი „ლაჩერბა“ ხშირად აქვეყნებდა კალიგრამებს. იტალიელი პოეტი ფრანჩესკო კანჯულო სიტყვა «fumare»-ს ბეჭდავდა სულ უფრო და უფრო მზარდი სიდიდის კორპუსით, რათა ვიზუალურად ეჩვენებინა კვამლის გაფართოების პროცესი. როცა 1914 წელს აპოლინერი გადაწყვეტს ექვსი „ლირიკული იდეოგრამის“ გამოქვეყნებას სათაურით „მეც მხატვარი ვარ“, ამით იგი სწორედ „ტიპოგრაფიული სიმულტანურობის“ ძიებებს უერთდება, რომლის

საწყისსაც იგი სტეფან მაღარმეს „კამათლების გაგორებაში“ ხედავს (ოსტერი 2001: 44). როგორც ტ. ტცარა აღნიშნავს მართებულად, კალიგრამებით აპოლინერი კიდევ უფრო აახლოებს პოეზიას მხატვრობასთან (ტცარა 1980: 399).

როდესაც ლექსში „მოგზაურობა“ («Voyage») (აპოლინერი 2001: 58) აპოლინერი დაკარგულ სიყვარულს წარმოგვიდგენს: 1) სიტყვებით «adieu amour nuage qui fut» და 2) ტიპოგრაფიულად – სიტყვათა იმგვარი განლაგებით, რომელიც ღრუბლის ფორმას იღებს, ამით იგი კალამბურის ვიზუალურ შედეგებს იღებს. სწორედ აქ იმალება კალიგრამების სიმულტანურობის ჭეშმარიტი ხასიათი: ვკითხულობთ იმ ფორმაში, რომელსაც ვხედავთ, ვხედავთ იმას, რასაც ვკითხულობთ.

აპოლინერი ფიქრობდა, რომ კალიგრამების ანუ „ლირიკული იდეოგრამების“ ტექნიკის წყალობით შესაძლებელი იქნებოდა „მთელი ლექსის (...) წაკითხვა მხოლოდ ერთი შეხედვით, თვალის ერთი შევლებით, ისევე როგორც ერთი შეხედვით დავინახავთ ხოლმე აფიშის [...] ელემენტებს“ (ოსტერი 2001: 45).

ამგვარი იდეოგრამების პრინციპი ენათესავება რუსული ხალხური თოჯინების, ეგრეთ წოდებული „მატრიოშკების“ ინკლუზია/ექსკლუზიის პრინციპს. კალიგრამა ციტირებას მიმართავს, მიგვანიშნებს, იმას ასახელებს, რაც თითქოს აქ არაა, მაგრამ რაც მაინც აქაა. სამყარო წიგნია და მეც, გიიომ აპოლინერი, პოეტი, საკუთარი თავისა და მთელი კაცობრიობის მოხეტიალე კალიგრამა – წარმოვადგენ ადამიანთა ისტორიას. მე საკუთარ თავს ვშიფრავ, საკუთარ თავს ვსწავლობ მათ ისტორიაში.

#### 4. ვერსიფიკაციისა და კომპოზიციის პრობლემა „ალკოჰოლებში“

„ალკოჰოლების“ ჩასახვის პერიოდი (გავისხენოთ კრებულის ქვესათაურში მითითებული 1898-1913 წლები) – ეს არის ლექსის კრიზისის პერიოდი, როდესაც გამოდის არაერთი თეორიული თუ პოლემიკური ხასიათის ნაშრომი. პოეტები გამაღებულ შემოქმედებით ძიებაში არიან. ისმება კითხვები პარნასული პროსოდის წესთა დასაბუთებულობასა და მართებულობაზე, ახალი ლექსის ესთეტიკაზე, ვერლიბრის ბუნებასა და ნაყოფიერებაზე და, საერთოდ, პოეზიის შესაძლო რეფორმებზე.

1897 წელს ახალგაზრდა კრიტიკოსი ადოლფ ბოშო წერს, რომ ჭეშმარიტი პოეტი სისტემას არ უნდა დაემორჩილოს. როგორც იგი აცხადებს, „ყოველი

ნაწარმოების შექმნისას პოეტი, თითქმის ყოველდღიურად, სპეციალურ ტექნიკას იგონებს, რასაც იგი აღწევს მხატვრული გამოსახვის უცნობ საშუალებათა საკუთარი საჭიროებისამებრ გამოყენებით“. პოეტი არის „შემოქმედი, უზენაესი მბრძანებელი რიტმებისა და ბგერებისა“, ახალ-ახალი რითმებისა. ის შორს უნდა იყოს ე. წ. „პოეტური“ ენის ჩარჩოებში ჩაკეტილგან და ლექსიკის ყველა რესურსი უნდა გამოიყენოს. „საფრანგეთი, – ასკენიდა ბოშო, – ელოდება პოეტს: ყველაფერი მზადაა მის მოსასვლელად“ (დეკოდენი 1997: 69-70).

უნდა ითქვას, რომ უაღრესად საინტერესო, შორს გამიზნული მოსაზრებებია გამოთქმული. სწორედ ამ მიმართულებით წარიმართება შემდგომში პოეტების, პირველ რიგში კი გიომ აპოლინერის შემოქმედებითი ექსპერიმენტები. 1915 წლის 30 ოქტომბერს აპოლინერი სწერს ჟან-ივ ბლანს, რითაც ერთგვარად ადოლფ ბოშოს მოსაზრებებსაც ეხმიანება:

„რაც შეეხება „ალკოჰოლების“ თავისუფალ პოეზიას, ჭეშმარიტი ლირიზმი დღესდღეობით არ შეიძლება არსებობდეს პოეტის სრული თავისუფლების გარეშე. მაშინაც კი, როცა ტრადიციული ლექსით წერს, ამ თამაშისკენ პოეტს საკუთარი თავისუფლება უბიძგებს. ამ თავისუფლების გარეშე პოეზია საერთოდ ვერ იარსებებდა. თუკი არ ვაღიარებთ ამ არსებით ჭეშმარიტებას, ჩვენი გონება ჩაისშობა იმ პირობითობის ჩარჩოებში, რომელიც უკვე ვეღარ იარსებებს; ის ვერ შეძლებს შემდგომ განვითარებას“ (აპოლინერი 1951: 39).

ჯერ კიდევ 1908 წელს აპოლინერი ჟან რუაიერზე დაწერილ სტატიაში აცხადებდა:

„[...] ამჟამად მოდაში მყოფი პროსოდია ძველი პროსოდია გახლავთ, რომლის წესებსაც ზოგიერთები ალაღბედზე არღვევენ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მათ ეშლებათ: ვერლიბრი პოეზიის პროზაული გამარტივება არ გახლავთ. თუკი ყოველი პოეტის შემოქმედებაში მის პიროვნულობას ეძებენ, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ პიროვნულ პროსოდიასაც შევხვდით. პოეტთაგან ყველაზე უსიცოცხლონიც კი იამაყებენ იმ ძალისხმევით, რომელიც მათ ლირიზმს გააკეთილშობილებს, თან ტრადიციულ სალექსო მეტრიკასაც არ შეარყევს და ამავე დროს მას წინ გაუსწრებს“ (დეკოდენი 1997: 70).

არ უნდა გაგვიკვირდეს, როცა აპოლინერი ამტკიცებს, რომ მას არ გააჩნია „პოეტური სისტემა“ ან, უფრო სწორად, „უამრავი“ პოეტური სისტემა აქვს (აპოლინერი 1951: 29). სალექსო ტაეპების, რითმული და სტროფული სისტემების

ურთიერთგანსხვავებულობა და მათი ჰარმონიული სინთეზი „ალკოპოლებში“ მართლაც გასაოცარია.

„ალკოპოლებში“ ყველაზე ხშირად ალექსანდრიული ლექსი გვხვდება, რომელიც მთლიანად ან მნიშვნელოვან ნაწილებში ოცდაოთხ ლექსშია გამოყენებული (ეპიზოდურად ის სხვა ლექსებშიც გვხვდება). რვამარცვლიანი ლექსი, რომელიც აპოლინერის საყვარელ ლექსადაა მიჩნეული, იმავე გაანგარიშებით ოც ლექსშია გამოყენებული. ბევრად უფრო იშვიათია შვიდმარცვლიანი, ექვსმარცვლიანი და ოთხმარცვლიანი ლექსები. ლექსში „ლორელი“, პოეტი იყენებს „ფრანგულ პოეზიაში უიშვიათეს საზომს“ (ბუაჩიძე 1989: 225) – თოთხმეტმარცვლიან ლექსს. ამავე ლექსში გვხვდება ცამეტმარცვლიანი ლექსი, რომელიც „საერთოდ არ იცის ფრანგულმა პროსოდიაში“ (ბუაჩიძე 1989: 225), და ჩვიდმეტმარცვლიანი ლექსი. რაც შეეხება ვერლიბრს, იგი სხვადასხვა ფორმით მხოლოდ თერთმეტ ლექსში გვხვდება (ვერლიბრში ვგულისხმობთ ლექსს ან ტაქტა ჯგუფს, რომლის სხვადასხვა მოცულობაც ერთ განსაზღვრულ ნაწილებში არც ერთ თანამიმდევრულ სისტემას არ ემყარება).

ამას დავამატოთ ის, რომ სამიდან ორი ლექსი, მთლიანად ან ნაწილობრივ, შედგება მკაცრი სტრუქტურის სტროფებისგან, რომელთა შორისაც ჭარბობს ალექსანდრიული ლექსით დაწერილი კატრენი, რვამარცვლიანი ლექსით დაწერილი კატრენი და იგივე რვამარცვლიანი ლექსით დაწერილი ხუთტაქტიანი დისტიქი (ორტაქტიანი) მთლიანად მხოლოდ ერთ ლექსშია („ლორელი“) გამოყენებული (სხვაგან ის ეპიზოდურად გვხვდება). ძალზე იშვიათად გვხვდება სამტაქტიანი. „ალკოპოლებში“ გვაქვს ერთი მონოსტიქიც („მგალობელი“, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენეთ). აქედან გამომდინარე, გვრჩება შთაბეჭდილება, რომ აპოლინერი, ასე თუ ისე, მაინც ერთგული რჩება ფრანგული პროსოდის ტრადიციებისა.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ წესიდან გადახვევა, რასაც აპოლინერი ძალიან ხშირად მიმართავს, თითქოსდა იმისთვის, რათა კონტრასტის მეშვეობით საზი გაუსვას წინა, ტრადიციული პროსოდით დაწერილ ტაქტებს. ჩვენ ამის რამდენიმე მაგალითი განვიხილეთ, როცა ლექსის „ფაბრიკაციაზე“ ვსაუბრობდით. წესებისა და სიახლის ამგვარი სინთეზის მაგალითებია: ბოლო ტაქტი ლექსისა „ზარები“, რომელიც მოულოდნელად წყვეტს თხუთმეტი რვამარცვლიანი ტაქტის ნაკადს (აპოლინერი 1981: 98); „უცუნების“ და

„სასახლის“ ალექსანდრიული ლექსით დაწერილი სტრიქონები, რომლებიც ორ-ორ ექვსმარცვლიან ტაეპადაა გაყოფილი (აპოლინერი 1981: 33, 35). მსგავსი მაგალითების მოძებნა „ალკოჰოლებში“ არ გაგვიჭირდება. ლექსის „კლოტილდა“ («Clotilde») კატრენების ბოლოში მალულად ჩართულია ერთი რვამარცვლიანი ტაეპი, მაშინ როდესაც ამ ბოლო კატრენის პირველი სამი ტაეპი შვიდმარცვლიანი ლექსითაა დაწერილი:

«Les déités des eaux vives  
Laissent couler leurs cheveux  
Passe il faut que tu poursuives  
Cette belle ombre que tu veux»  
(აპოლინერი 1981: 47)

„მარის“ რვამარცვლიანი ლექსით დაწერილი ხუთტაეპედებში ჩართულია ერთი ატიპური, ალექსანდრიული ლექსით დაწერილი ტაეპი:

«Oui je veux vous aimer mais vous aimer à peine»  
(აპოლინერი 1981: 55)

ტრადიციული პროსოდით დაწერილ აპოლინერის ლექსზე თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ იგივე, რასაც თვითონ წერდა პოლ ფორის „პოეტურ ხელოვნებაზე“:

„ის, რამაც ფრანგული პოეზიის საამურობა და კეთილშობილება შექმნა, არ დავიწყებიათ: პირიქით, ყველაფერმა ამან უცებ ახალი ძალით იფეთქა. [...] პოლ ფორმა იფიქრა, რომ ლექსში, სტროფში, რითმაში სიტყვათა ხმოვანებას უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე იმ ასო-ნიშნებს, რომელიც ამ ხმოვანებას ქმნის. მან ჩათვალა, რომ წერა მხოლოდ და მხოლოდ მნემოტექნიკური საშუალება იყო და რომ მხედველობას, სრულიად უსაფუძვლოდ, ისეთივე მნიშვნელოვანი როლი მიანიჭეს, როგორი მნიშვნელოვანიც იყო სმენის როლი“ (დეკოდენი 1997: 72).

„ნიშნობის“ ციკლის ერთსა და იმავე ლექსში გვხვდება გადასვლა პროზაული თხრობიდან («À la fin les mensonges ne me font plus peur») – ეს ტაეპი ალექსანდრიული ლექსის სტატუსს მხოლოდ თორმეტ მარცვალს უნდა უმაღლოდეს – დიდი მოქნილობით გამორჩეულ ალექსანდრიულ ლექსზე («Les rues sont mouillées de la pluie de naguère»), სადაც სიტყვების «rues», «mouillées», «pluie» ბოლო ბგერები თითქოს უბრალოდ აგრძელებს წინამავალ მარცვალს,

რაც ერთგვარად მერყევს ხდის თორმეტმარცვლიანი ლექსის რიტმს (აპოლინერი 1981: 120).

რომ მოვისმინოთ, თუ როგორ კითხულობს აპოლინერი „მირაბოს ხიდს“, „მარის“ ან „მეზავრს“, მივხვდებით, თუ რამდენად ავტონომიურია მისთვის თითოეული ტაეპი. ეს ავტონომიურობა გამომდინარეობს სინტაქსური, სემანტიკური ან უბრალოდ ბგერითი ერთიანობიდან. აპოლინერი ანჟამბემანზეც\* არ ამბობს უარს. ზოგჯერ ანჟამბემანი მხოლოდ სტრიქონის სიმოკლითაა გამოწვეული და გრამატიკულ ჯგუფებს უწევს ანგარიშს. მაგალითად, ასეა ლექსში „ბინდი“:

«Un charlatan crépusculaire  
Vante les tours que l' on va faire  
[...]  
Sur les tréteaux l' arlequin blême  
Salue d' abord les spectateurs  
[...]»

(აპოლინერი 1981: 37)

სხვაგან ანჟამბემანი რითმის დაშლა-რღვევისა და გაქრობის მიზეზია, როგორც ეს გვაქვს „უიღბლო შეყვარებულის სიძღერის“ დასაწყისში:

«Un voyou qui ressemblait à  
Mon amour vint à ma rencontre  
Et le regard qu' il me jeta  
Me fit baisser les yeux de honte»

(აპოლინერი 1981: 17)

ზოგჯერ მთელი სტროფი ანჟამბემანთა თამაშზეა აგებული. უფრო მეტიც, „როზმონდის“ თითოეული ხუთტაეპედი (ლექსი სამსტროფიანია) ერთადერთი, ანჟამბემანებით აწყობილი წინადადებისგან შედგება. ამ ანჟამბემანებს სტრიქონი სალექსო ტიპოგრაფიულ ფორმამდე დაჰყავს:

«Longtemps au pied du perron de  
La maison où entra la dame  
Que j' avais suivie pendant deux  
Bonnes heures à Amsterdam

\* ლექსში ტაეპის ერთი ან რამდენიმე სიტყვის გადატანა მომდევნო ტაეპში.



Mes doigts jetèrent des baisers

[...]»

(აპოლინერი 1981: 88)

#### ა) ვერლიბრი

აპოლინერთან ანალოგიური ოპოზიცია იგრძნობა ვერლიბრის ხმარებისას. ერთი მხრივ იგი იყენებს მოკლე ტაქსს, რომელიც სიმბოლისტური ვერლიბრის მსგავსად მხოლოდ სტროფში არსებობს. ლექსში „ანი“ ვკითხულობთ:

«Sur la côte du Texas

Entre Mobile et Galveston il y a

Un grand jardin tout plein de roses

Il contient aussi une villa

Qui est une grande rose

[...]»

(აპოლინერი 1981: 38)

„ტეხასის სანაპიროზე

მობილსა და გალვესტონს შორის

არის ვარდებით სავსე ბაღი

იქ ერთი ვილაა

დიდი ვარდის მსგავსი

[...]“

(აპოლინერი 2001: 126)

აპოლინერისთვის ამ ტიპის ლექსს ხშირად ნარატიული ფუნქცია აკისრია, როგორც ესაა ლექსებში „ანი“ ან „რაინული შემოდგომა“:

«Les enfants des morts vont jouer

Dans le cimetière

Martin Gertrude Hans et Henri

Nul coq n' a chanté aujourd' hui

Kikiriki»

(აპოლინერი 1981: 104)

„დღეს ირბენენ და ითამაშებენ

სასაფლაოზე მკვდრების ბავშვები

ჰანსი ჰერტრუდა მარტინი ანრი

მაგრამ მამალი დღეს ყოელიყოს  
 არ დაიყვილებს“  
 (აპოლინერი 1984: 157)

სრულიად განსხვავებულია სალექსო სტრიქონის ის ტიპი, რომელსაც ვხვდებით უკვე ლექსში „სინაგოგა“ («La synagogue»), 1901-1902 წლების ლექსში. შემდეგ ამ ტიპის სტრიქონი ჩნდება 1908 წლის („ნაკვერჩხალი“ და „ნიშნობა“) და 1909 წლის ლექსებში („კორტეჟი“, „ლექსი წაკითხული ანდრე სალმონის ქორწილში“), ბოლოს კი „ზონაში“.

საქმე ეხება გრძელ ტაქსს, რომელიც მარცვალთა რაოდენობით ხშირად აღექსნადრიული ლექსის საზომსაც კი გადადის. ლექსიკა და სინტაქსური სტრუქტურა უმეტეს შემთხვევაში პროზაული ხასიათისაა, ხოლო თვით სალექსო სტრიქონის სიგრძე გრამატიკული ან სემანტიკური გამონათქვამის სიგრძეს უტოლდება:

«Te voici à Amsterdam avec une jeune fille  
 que tu trouves belle et qui est laide» („ზონა“);  
 «Le vieux Rhin soulève sa face ruiselante et se détourne  
 pour sourire» („სინაგოგა“)  
 (აპოლინერი 1981: 12 და 96)

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ლექსში „სინაგოგა“ ფრაზისა და მისი მნიშვნელობის ურთიერთგადაჯაჭვა რამდენიმე სტრიქონზე ხდება ისეთი ანუამბემანებით, როგორიცაა, მაგალითად, «Ottomar et Abraham aiment tous deux / Lia» (აპოლინერი 1981: 96). საქმე იმაშია, რომ ამ დროისთვის აპოლინერი ჯერ კიდევ ამ პოეტური იარაღით მოქმედების პირველ ნაბიჯებს დგამს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამგვარი მოდელი, ისევე როგორც ლექსში გადმოცემული განწყობა, მან ალბათ უიულ ლაფორგის (1860-1887) გვიანდელი პოეზიიდან აიღო, ლაფორგისა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა დაარღვია ტრადიციული ფრანგული პროსოდის წესები (პია 1979: 8) და რომელსაც, დიდი მექსიკელი პოეტისა და ესეისტის ოქტავიო პასის (1914-1998) თქმით, „ასე მოსწონდა შეუთავსებლის შეთავსება“ (პასი 2002: 20). საგულისხმოა, რომ სწორედ ლაფორგის გავლენაზეა ლაპარაკი, რომელსაც ვერ გაექცა არა მარტო აპოლინერი, არამედ ვერ გაექცნენ იმ დროის ინგლისურენოვანი პოეტებიც – ანგლო-ამერიკული მოდერნიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლები ელიოტი და პაუნდი. როგორც ოქტავიო პასი

აღნიშნავს, დაახლოებით იმავე ხანებში განიცადეს ჟიულ ლაფორგის გავლენა ლათინოამერიკელმა პოეტებმაც. აი, რას წერს ამაზე ო. პასი: „1905 წელს არგენტინელმა ლეოპოლდო ლუგონესმა [...] გამოაქვეყნა ლექსების კრებული „მწუხრი ბაღში“, სადაც ესპანურენოვან პოეზიაში პირველად ჩნდება ლაფორგის პოეზიისათვის დამახასიათებელი თვისებები: ირონია, სასაუბრო და ლიტერატურული ენების შეხვედრა, არაჩვეულებრივი ხატოვანება [...]“ (პასი 2002: 19).

ეს ის პოეტური იარაღია, რომელიც შემდგომში, აპოლინერთან და ბლეს სანდრართან ერთად, ფრანგული პოეტური მოდერნიზმის უპირველესი გამომსახველობითი ფორმა გახდება 1913-1925 წლებში. ამ მოდერნიზმს ედება სათავეში ჯერ აპოლინერი, შემდეგ კი სანდრარი, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ახალგაზრდა პოეტებს შორის. როდესაც სანდრარი 1924 წელს ბრაზილიაში ჩავიდა, ახალგაზრდა ბრაზილიელმა პოეტებმა მას დაუვიწყარი შეხვედრა მოუწვევეს. ისინი აღაფრთოვანა სანდრარის მიერ წაკითხულმა ლექციებმა (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სანდრარი ბრწყინვალედ ფლობდა პორტუგალიურს), რაც აისახა კიდევ მათ პოეზიაში (ტერტერიანი 1983: 13).

## ბ) რითმა

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აპოლინერის რითმულ სისტემაშიც იმავე შეუზღუდაობას ვხედავთ.

აპოლინერი მეტწილად იყენებს ჯვარედინ რითმას (ABAB), რომელიც „ალკოპოლების“ ორმოცდაათიდან ცხრამეტ ლექსში გვხვდება. წყვილ-წყვილად მონაცვლე რითმები (AABB) მხოლოდ რვა ლექსშია გამოყენებული, ხოლო რითმათა მოდელი ABBA კიდევ უფრო იშვიათად გვხვდება. ზოგჯერ ერთსა და იმავე ლექსში რითმათა ერთი მოდელი მეორესთანაა შერეული. მაგალითად, „სასახლის“ მეორე სტროფი დაწერილია ABBA მოდელით, მაშინ როცა დანარჩენი კატრენები ABAB მოდელს მიჰყვება (აპოლინერი 1981: 34-35). თვით „სინაგოგის“ ვერლიბრით დაწერილ სტროფებშიც კი რითმათა ორი სისტემაა გამოყენებული (აპოლინერი 1981: 96-97). რითმათა ერთ მოცემულ სისტემაში შეიძლება შევხვდეთ ვაჟური და ქალური რითმების მონაცვლეობას, მხოლოდითი რიცხვის სახელის გარითმვას მრავლობითთან, ტრადიციული ფრანგული პროსოდის მიერ აკრძალული რითმის (მაგალითად, სიტყვა, რომელიც შემდგომ

ტაეში იმავე კვლავ გამეორებულ სიტყვას ერთმება, ან ერთმარცვლიანი წინდებულის რითმად გამოყენება) ხმარებას, ასონანსებს, ალიტერაციებსა თუ უბრალო სონორულ მსგავსებათ, რაც აპოლინერისეული ვერსიფიკაციის განუყოფელ ნაწილად იქცევა.

ამგვარად, იქნება ეს სტროფი, ტაეპი თუ რითმა, აპოლინერი ყველა შესაძლო ტექნიკას ერთმანეთში ურევს, ყველა ტექნიკას ერთმანეთში აერთიანებს, რითაც საინტერესო, უჩვეულო, გასაოცარ სინთეზს ქმნის. მას სიახლე შემოაქვს ტრადიციაში ახალი ელემენტების ჩართვით, მიმართავს რა დაუსრულებელ ვარიაციებს ორ უკიდურეს ზღვარს შორის: ეს ორი უკიდურესი ზღვარი გახლავთ მკაცრი წესი და ტოტალური თავისუფლება. გ. ბუაჩიძე აღნიშნავს (ბუაჩიძე 1989: 223), რომ ყოველივე ეს მკითხველის ინტერესის მუდმივ მობილიზებას ახდენს. როგორც შენიშნავს ტრისტან ტცარა (1896-1963), რომელზეც „ალკოჰოლებმა“ დიდი გავლენა იქონია (ბეარი 1996: 6), აპოლინერის ლექსი, პირველ რიგში, ყურისთვისაა განკუთვნილი (ტცარა 1980: 391). ფერნან ფლერესგან ვიცით, რომ აპოლინერი ლექსებს ღიღინით წერდა (დეკოდენი 1997: 80).

მაშასადამე, აპოლინერის ერთადერთი სისტემა – ერთი რომელიმე განსაზღვრული სისტემის არქონაა.

## IV ნაწილი

### 1. გერმანიის ადგილი „ალკოჰოლებში“

1901 წლის მაისში გიომ აპოლინერი თავისი ასულისთვის ფრანგულის მასწავლებლად აიყვანა ერთ-ერთმა მდიდარმა გერმანელმა არისტოკრატმა, ვიკონტ მილჰაუს ქვრივმა ელინორ პოლტერჰეიმა, რომელიც კელნის არისტოკრატიულ ოჯახს მიეკუთვნებოდა და პარიზში ცხოვრობდა, თუმცა დროდადრო თავის მამულებშიც ჩადიოდა რაინის მხარეში. იმავე წლის აგვისტოს ბოლოს ვიკონტესამ ოჯახთან და აპოლინერთან ერთად გერმანიას მიაშურა – ჯერ პონეფს, შემდეგ კი „ნოი გლიუკის“ უზარმაზარ ვილას, ოცდაათი კილომეტრით ჩრდილოეთით.

ვიკონტესამ ინგლისელი გუვერნანტიც აიყვანა – ახალგაზრდა ლონდონელი ქალიშვილი ენი პლეიდენი.

გერმანიამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა აპოლინერზე და ღრმა კვალი დაატყო მის შემოქმედებას. აქ გატარებულმა ერთმა წელმა აპოლინერს საშუალება მისცა ენახა დიუსელდორფი, კობლენცი, კელნი და ბონი, შემოევლო ვიურტემბერგი, ბავარია და ბოჰემია და თვით ვენასა და ბერლინშიც კი ჩასულიყო (რიშარი 1996: 26; პია 1995: 42). შეიძლება ითქვას, რომ გერმანული გამოცდილებით პოეტმა და მთხრობელმა აპოლინერმა ერთნაირად ისარგებლა. აქვე აღვნიშნოთ, რომ ჰანოვერის წყალობით იშვა წიგნის „ერესიარქი და კომპანია“ ერთ-ერთი მოთხრობა „ჰილდესჰაიმის ვარდი“, ხოლო ბოჰემიამ აპოლინერს ამ კრებულის საუკეთესო მოთხრობა, „პრადელი მგზავრი“ დააწერინა. თავისი დელიკატესებით ცნობილმა მიუნხენმა აპოლინერის ის ღორმუცელა და სმის მოყვარული პერსონაჟები შვა, რომელნიც „მოკლული პოეტის“ მეექვსე თავში ნოკერბერგის ლუდხანებში მიიჩქარიან (აპოლინერი 2003: 37-40). რაც შეეხება რაინის ნაპირებს, ჩვენ მათ დაუსრულებლად ვაწყდებით მთელ „ალკოჰოლებში“: სწორედ ამ ადგილებიდან დაიბადა „უცუნები“, „ლამის ქარი“ («Le vent nocturne») და ლექსების სერია, რომელიც „რაინული ლექსების“ სახელითაა წარმოდგენილი „ალკოჰოლებში“. ალბათ არ იქნება გადაჭარბება, თუკი ვიტყვით, რომ გერმანიიდან დაბრუნებული აპოლინერი უკვე სრულად ფლობდა პოეტის ხელობას. „რაინულ ლექსებში“ ნათლად ჩანს, რომ აპოლინერი უბადლოა ელეგიაში:

«La-haut le vent tordait ses cheveux déroulés

Les chevaliers criaient Loreley Loreley»

(აპოლინერი 1981: 100);

ასევე იდილიაში (ასეთია მისი „ქალები“, რომელიც „ლექსები-საუბრების“ ადრეულ ჩანასახად შეიძლება მივიხნოთ):

«*Il est mort écoutez La cloche de l' église*

*Sonnait tout doucement la mort du sacristain*

*Lise il faut attiser le poêle qui s' éteint*

*Les femmes se signaient dans la nuit indécise»*

(აპოლინერი 1981: 110);

სიმღერაში:

«*Mon beau tzigane mon amant*

*Écoute les cloches qui sonnent»*

(აპოლინერი 1981: 98);

ბურლესკურ პოეზიაში:

«*Benzel accroupi lit la Bible*

*Sans voir que son chapeau pointu*

*À plume d' aigle sert de cible*

*À Jacob Born le mal foutu»*

(აპოლინერი 1981: 102);

დასასრულ, თავად დიდ პოეზიაში, რომელსაც ვერანაირი ეპითეტი ვერ გადმოსცემს და რომელიც მუდამ აჯადოებს მკითხველს:

«*Mon verre est plein d' un vin trembleur comme une  
flamme»*

«*Mon verre s' est brisé comme un éclat de rire»*

(აპოლინერი 1981: 94)

„ალკოჰოლების“ ცხრა რაინულ ლექსს შორის გვაქვს ერთი ლექსი, რომელიც 1901 წლის სექტემბერსა და 1902 წლის მაისს შორის (როგორც ეს ციკლის ბოლოს მიაწერა ავტორმა) არ უნდა იყოს დაწერილი. ესაა „რაინული შემოდგომა“, რომელიც დანარჩენი რაინული ლექსებივით გერმანული შთაგონებისაა, თუმცა დაწერით მერე უნდა იყოს დაწერილი. 1901 და 1902 წელს აპოლინერი, რომელიც საერთოდ დიდ ყურადღებას არ აქცევდა ტრადიციული ვერსიფიკაციის წესებს, ძალიან ფრთხილად ეპყრობოდა იმ პოეტურ

თავისუფლებას, რომლის აფიშირებაც ასე უყვარდა. სწორედ 1912 ან 1913 წელს, წესებისგან თავისუფალ აპოლინერს უნდა დაეწერა „რაინული შემოდგომა“, რომელშიც მკაფიოდ ჩანს მისი სურვილი, მხოლოდ მინიმალურად დაუმორჩილოს წესებს ლექსის ელემენტები:

«Les vieilles femmes  
 Tout en pleurant cheminant  
 Et les bons ânes  
 Brailent hi han et se mettent à brouter les fleurs  
 Des couronnes mortuaires

C' est le jour des morts et de toutes leurs âmes  
 Les enfants et les vieilles femmes  
 Allument des bougies et des cierges  
 Sur chaque tombe catholique  
 Les voiles des vieilles  
 Les nuages du ciel  
 Sont comme des barbes de biques»

(აპოლინერი 1981: 104)

„აცრემლებული დედაბრები  
 მოდიან გზაზე  
 ვეყვს ყროყინით მშვიდად კორტნიან  
 დარბაისელი ვირები ირგვლივ  
 ჭირისუფლების მოტანილ გვირგვინს

სულთა დღე არის დღე დღევანდელი  
 ვისთვისაც ასე უცებ დაბნელდა  
 ყოველ კათოლიკს აქ ბავშვებმა და დედაბრებმა  
 უნდა დაუნთონ თავლის სანთელი  
 უნდა ახსენონ თავისი მკვდრები  
 თხის წვერს წააგავს  
 ღრუბელი და ვუალი ბებრის“  
 (აპოლინერი 1984: 157)

ჩვენს ჰიპოთეზას, რომ „რაინული შემოდგომა“ გვიან უნდა იყოს დაიწერილი, „ალკოჰოლების“ სხვა ლექსიც ამყარებს: ესაა „მიცვალებულთა სახლი“ (ჩვენ ის ზემოთ ვახსენეთ), რომელიც ასევე აპოლინერის გერმანული პერიოდის ლექსია და რომელიც აოცებს მკითხველს როგორც თავისი სიდიდით (ის პოეტური კრებულის რვა გვერს მოიცავს), ისე სტილითაც:

«S' étendant sur les côtés du cimetière  
 La maison des morts l' encadrerait comme un cloître  
 À l' intérieur de ses vitrines  
 Pareilles à celles des boutiques de modes  
 Au lieu de sourire debout  
 Les mannequins grimâçaient pour l' éternité»  
 (აპოლინერი 1981: 39)

„მირაბოს ხიდის“ შემდეგ, ამგვარი პოეზია აბნევს მკითხველს. საიდან მოდის ასეთი პირქუში სტრიქონები? პასუხი მარტივი, მაგრამ მოულოდნელია: პირდაპირ პროზიდან. მიუნხენის ერთ-ერთ სასაფლაოზე დაწერილი მოთხრობიდან, რომელიც აპოლინერმა 1907 წელს გამოაქვეყნა ჟურნალ „ლე სოლეიში“ სათაურით „მიცვალებულთა აღსანუსხი წიგნი“, აპოლინერმა – მას შემდეგ, რაც არათანაბარ სტრიქონებად დაყო თავისი პროზა – პირდაპირ „გამოჭრა“ „ალკოჰოლების“ ეს ლექსი, რომელშიც სტრიქონების გამოზომვა განპირობებულია მხოლოდ აზრით ან სუნთქვით ნაკარნახევი პაუზებით.

მსგავსი ეშმაკობა ნამდვილად არ იყო უცხო ხილი აპოლინერისთვის (ჩვენ ლექსის ამგვარ „ფაბრიკაციაზე“ ზემოთ ვისაუბრეთ), რომელიც, როგორც I თავში აღვნიშნეთ, თითქმის მთელი ცხოვრება მისტიფიკატორის რეპუტაციით სარგებლობდა. ეს ლექსი გერმანიაში ყოფნიდან ათი წლის შემდეგ გაჩნდა. რაინული მელოდიური ლექსების წერის დროს, 1901 და 1902 წლებში, პოეტი იმ რიტმების ერთგული იყო, რომელსაც ნერვალმა და ვერლენმა შეაჩვიეს. იმ დროს მისი სიმამაცე მეტრიკის სფეროში ალექსანდრიული ლექსით შემოიფარგლებოდა. სამაგიეროდ, იგი საკმაოდ აშკარა სითამამეს ამჟღავნებდა საკუთარი პოეზიის ელემენტთა არჩევაში. არტურ რემბოს (1854-1891) ძველი და აღფრედ ჟარის (1873-1907) შედარებით ახალი მაგალითი მას კიდევ უფრო არწმუნებდა იმაში, რომ ჭეშმარიტმა პოეტმა შეიძლება ყველაფერი პოეზიის წყაროდ აქციოს და ყველაფრით ისარგებლოს. ამას ემატება მისი ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა და ყოველგვარ სანახაობათა ტრფიალი. იგი მუდამ იწონებდა



თავს იმით, რომ შეეძლო შემოქმედებითი საზრდო ყველგან ეპოვა. მის წიგნებში (და არა მარტო ლექსებში) ჩანს, რომ იგი მართლაც დაკვირვების გასაოცარი უნარით გამოირჩეოდა. მაგრამ დაეუბრუნდეთ „ალკოჰოლების“ „რაინულ ლექსებს“. „სინაგოგაზე“ კარგად ალბათ აპოლინერის არც ერთი ლექსი არ გვიჩვენებს იმას, თუ როგორი საზრდო შეიძლებოდა ეპოვა მის ხელოვნებას – ადრეული წლებიდანვე – ყველაზე ბანალურ გარემოებებში, ქუჩის ყოველდღიურ წვრილმან შემთხვევებში. დიდაქტიზმში გადავარდნის გარეშე, „სინაგოგაში“ აპოლინერი უტყუარი ერთგულებით წარმოგვიდგენს ორ ებრაელს, რომელთაც მისი ყურადღება მიმიკებითა და საუბრის მოურიდებელი ტონით მიიქცევს:

«Ils se disputent et crient des choses qu' on ose à peine

traduire

Bâtard conçu pendant les règles ou Que le diable entre

dans ton père

Le vieux Rhin soulève sa face ruiselante et se détourne

pour sourire

Ottomar Scholem et Abraham Lœweren sont en colère

Parce que pendant le sabbat on ne doit pas fumer

Tandis que les chrétiens passent avec des cigares allumés

Et parce qu' Ottomar et Abraham aiment tous deux

Lia aux yeux de brebis et dont le ventre avance un peu»

(აპოლინერი 1981: 96)

ალბერ ტიბოდე ამბობდა, რომ რემბოს ლექსებში დაუღალავი მოხეტიალის ცხოვრება ჩანს (პია 1995: 49). ალბათ აპოლინერის პოეზიაც მოხეტიალე კაცის პოეზიაა. როცა ერთ დღეს თავისი პარიზული ქრონიკები შეაგროვა, განა თავად აპოლინერმა არ უწოდა თავის თავს „ორი ნაპირის მოხეტიალე“ (აპოლინერი 1993)?

